



# Comirnaty (Pfizer/ BioNTech) COVID-19 ვაქცინის შემდეგ

გმადლობთ, რომ იცავთ საკუთარ თავს და სხვებს ვაქცინის გაკეთებით. ახლა, როცა ვაქცინა გაიკეთეთ, გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ ამ დოკუმენტს, რათა გაიგოთ, თუ როგორ შეიძლება იგრძნოთ თავი მომღვეწო რამდენიმე დღეში და სად შეიძლება მიიღოთ მეტი ინფორმაცია. ასევე გაეცანით COVID-19 ვაქცინის შესახებ საინფორმაციო ბროშურას, რომელიც გადმოგეცათ.

ამასთან ერთად, გაძლევთ დღეს გაკეთებული ვაქცინის სააღრიცხვო ჩანაწერს. გთხოვთ, ეს სააღრიცხვო ბარათი უსაფრთხოდ შეინახოთ.

## რა შეიძლება მოხდეს მომღვეწო რამდენიმე დღეში?

ზოგიერთ ადამიანს, რომელმაც თქვენსავით ვაქცინა გაიკეთა, შეიძლება გქონდეთ:

- მკლავში ვაქცინის გაკეთების ადგილას ტკივილი, შეშუპება ან/და სიწითლე
- დაღლილობის შეგრძნება
- თავის ტკივილი
- კუნთების ტკივილი
- სახსრების ტკივილი
- გულისრევის შეგრძნება
- ცხელება (ტემპერატურა - 38 გრადუსი ცელსიუსით ან მეტი).

როგორც ყველა სხვა ვაქცინის შემთხვევაში, საეჭვო გვერდითი ეფექტების შესახებ შეგიძლიათ შეატყობინოთ სამკურნალო საშუალებების მარეგულირებელ სააგენტოს (HPRA).

COVID-19-ის ვაქცინის არასასურველი რეაქციის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად, გთხოვთ, ეწვიოთ ვებსაიტს: [www.hpra.ie/report](http://www.hpra.ie/report)

## რა გავაკეთო, თუ მექნება სიცხე ან ტკივილები?

სიცხის ან ტკივილების შემთხვევაში, შეგიძლიათ მიიღოთ პარაცეტამოლი ან იბუპროფენი. თუმცა, თუ სიცხე 48 საათზე მეტ ხანს გაგრძელდება, ან თუ მაინც შეშფოთებული ხართ, გთხოვთ მიმართოთ ექიმს. არ მიიღოთ იბუპროფენი, თუ ფეხმძიმე ხართ.

## რა უნდა გავაკეთო, სანამ ვაქცინის მეორე დოზას მივიღებ?

როცა ვაქცინის მომდევნო და საბოლოო დოზას მიიღებთ, გთხოვთ, უთხრათ ვაქცინაციის პერსონალს, მოხდა თუ არა რამე ცვლილებები თქვენს სამედიცინო ისტორიაში.

## მეორე დოზის გაკეთებისას, გთხოვთ, თან იქონიოთ თქვენი ვაქცინაციის სააღრიცხვო ბარათი.

ეს უნდა მოხდეს 28 დღეში (ოთხ კვირაში).

## სასიხარულო ამბავი

COVID-19 ვაქცინა COVID-19 ვირუსით გამოწვეულ სერიოზული გართულებებისგან დაგიცავთ.

ვაქცინები თქვენს იმუნურ სისტემას დაავადებებისგან თავდაცვას ასწავლიან. თქვენი იმუნური სისტემისთვის ბევრად უფრო უსაფრთხო იქნება ორგანიზმის დაცვა ვაქცინაციის მეშვეობით, ვიდრე COVID-19-ით დაინფიცირების შემთხვევაში.

## ჩვენ კვლავ ვატარებთ კვლევებს

ვაქცინა იმოქმედებს მეორე დოზის მიღებიდან 7 დღეში.

ვაქცინის გაკეთების შემთხვევაში, არსებობს მცირე შანსი, რომ მაინც შეიძლება დაავადდეთ COVID-19-ით.

ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია, აჩერებს თუ არა ვაქცინა COVID-19 ვირუსის სხვებზე გადაცემას, ამიტომ უნდა გააგრძელოთ ჯანდაცვის ორგანოების რეკომენდაციების შესრულება:

- შეასრულეთ სოციალური დისტანციის რეკომენდაციები (თუ შესაძლებელია, დაიცავით სხვებისგან ორმეტრიანი დისტანცია)
- ატარეთ სახის ნიღაბი
- რეგულარულად დაიბანეთ ხელები.

## გაქვთ შეკითხვა?

თუ რამეში არ ხართ დარწმუნებული, ან გაქვთ შეკითხვები COVID-19 ვაქცინასთან დაკავშირებით, გთხოვთ, მოგვმართოთ ახლავე ან ეწვიოთ [hse.ie/covid19vaccine](https://hse.ie/covid19vaccine) ან დაუკავშირდეთ HSELive-ს ნომერზე 1850 24 1850.

გამოქვეყნებულია HSE მიერ 2021 წლის 14 იანვარს. ვერსია 3.



Rialtas na hÉireann  
Government of Ireland